



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

31 ივლისი 2025



N 399/ს

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#### თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტზე რეკომენდაციების გაცემის შესახებ

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ “გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ (შემდგომ - კოდექსი) გათვალისწინებული რეკომენდაციების მიღების მიზნით, 2025 წლის 27 მარტს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოადგინა სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისის განაშენიანების გეგმა (თანდართული დოკუმენტაციით), სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (შემდგომ - სგშ) ანგარიში და არატექნიკური რეზიუმე.

კოდექსის შესაბამისად, წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი და სგშ-ის ანგარიში, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, გადაეგზავნა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (შემდგომ - ცენტრი), რომელმაც უზრუნველყო აღნიშნული დოკუმენტებისა და საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსება (<https://ei.gov.ge/ka/info/484e8af1-0fda-402c-a389-32e3100e81b2>). აღნიშნული დოკუმენტაცია ცენტრის მიერ ასევე გაეგზავნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას, შესაბამის საინფორმაციო დაფასა და ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების მიზნით.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისის განაშენიანების გეგმის პროექტსა და სგშ-ის სკოპინგის განცხადებაზე სააგენტოს 27.08.2024 წ. №475/ს ბრძანებით გაიცა სგშ-ის სკოპინგის დასკვნა.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისის განაშენიანების გეგმის (შემდგომ - გგ) სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, სააგენტოს (07.04.2025 №180/ს და 01.05.2025 №218/ს) ბრძანებების საფუძველზე შეიქმნა შესაბამისი საექსპერტო კომისიები.

წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტის სგშ-ის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას როგორც დამგეგმავი ორგანოს შესახებ, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით გათვალისწინებული პროცედურებისა და დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებების თაობაზე. ანგარიშში მოცემულია სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების საფუძველი და მიზნები, განხორციელების არეალი, ასევე განხილულია სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან მიმართება.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, გეგმარებითი არეალის ფართობია 4134.3 ჰექტარი. დაბა მანგლისი მდებარეობს ქვემო ქართლის მხარის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ალგეთის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1200 მ. დაბა მანგლისი თემის ცენტრია. დასავლეთითა და ჩრდილოეთით ესაზღვრება ალგეთის ეროვნული პარკი, რომლის კონტური ამასთანავე ზურმუხტის ქსელის საზღვარს ემთხვევა.

სგშ-ის ანგარიშში განხილულია შემდეგი ალტერნატივები: ნულოვანი ალტერნატივა (არაქმედების) - სცენარი, როდესაც გეგმარებითი ერთეული ვითარდება სტრატეგიული დოკუმენტის გარეშე და გეგმარებითი ალტერნატივა, რომლის თანახმადაც განხილულია ორი ალტერნატიული ვარიანტის შედარება.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, აღნიშნული გეგმარებითი ალტერნატივები, მიზნებითა და ამოცანებით იდენტურია, განსხვავდება მხოლოდ მათი პრიორიტეტულობით:

გეგმარებითი ალტერნატივა 1 :

- ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემო;
- დომინანტი კარიბჭე ალგეთის ეროვნული პარკისთვის;
- გრძელვადიანი დასვენებისთვის კარგად ორგანიზებული კურორტი;
- მოკლევადიანი დასვენების ადგილი.

გეგმარებითი ალტერნატივა 2 :

- ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემო;
- გრძელვადიანი დასვენებისთვის კარგად ორგანიზებული კურორტი;
- მოკლევადიანი დასვენების ადგილი;
- დომინანტი კარიბჭე ალგეთის ეროვნული პარკისთვის.

სტრატეგიული დოკუმენტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობის გაძლიერებაა. ორივე ალტერნატივის შემთხვევაში მთავარი მიზნის მისაღწევად პირველი ადგილი, ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნას უკავია, რაც, თავისთავად, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც გულისხმობს.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, სტრატეგიული დოკუმენტი ორიენტირებულია განვითარების პირველი ალტერნატიული ვარიანტის განხორციელებაზე.

სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია განვითარების კონკრეტული ღონისძიებები. პირველი გეგმარებითი ალტერნატივის გათვალისწინებით ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია პრიორიტეტული ღონისძიებები: ქუჩათა ქსელის მოწესრიგება; გარე განათება; სანიაღვრე სისტემა; საზოგადოებრივი სივრცეების რეაბილიტაცია; სწრაფი კვების ობიექტების გაჩენა; შიდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი; კეთილმოწყობილი პარკების მოწყობა; საფეხმავლო ქუჩის ორგანიზება; რეგულარული მარშრუტი თბილისიდან; კომფორტული პარკირება.

სგშ-ის ანგარიშის მიხედვით, დაბა მანგლისის განვითარების ხედვა წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით, რომელიც ორ ნაწილადაა დაყოფილი, საიდანაც ერთი ზოგად ხედვას წარმოადგენს, ხოლო მეორე ეკონომიკური განვითარებისას. განვითარების ხედვა მოიცავს 2025-2035 წლებში განსახორციელებელი ცვლილებების შედეგად განახლებული მანგლისის ყოველდღიურობას.

2035 წლისათვის მანგლისის ზოგად ხედვას წარმოადგენს ჯანსაღი და სამკურნალო კლიმატური გარემო, რომელიც თბილისთან სიახლოვის გამო, წარმოადგენს ხარისხიანი დასასვენებელი და საცხოვრებელი ადგილის ალტერნატივას.

ეკონომიკური განვითარების ხედვა მოიაზრებს, გაუმჯობესებულ ცხოვრების ხარისხს, როგორც დაბის მოსახლეობისათვის და სააგარაკე ქონების მფლობელთათვის, ასევე მისი დამსვენებლებისა და ვიზიტორებისათვის. 2035 წლისთვის ჩერდება მუდმივი მაცხოვრებლის კლების ტენდენცია და იზრდება იმ მაცხოვრებლების/აგარაკების მფლობელების წილი, რომლებიც წლის განმავლობაში გარკვეულ პერიოდს ატარებენ დაბაში. განაშენიანების გეგმის განხორციელების შემთხვევაში, გაიზრდება დაბის ეკონომიკური აქტივობა. ახალი სასტუმროების შეთავაზებისა და აგარაკების განვითარების/განახლების ფონზე გააქტიურდება სტუმარმასპინძლობის და სამშენებლო სექტორები, რაც შესაძლებელს გახდის ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდეს ტურიზმის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროებში.

სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული გეგმარებითი არეალის ფუნქციური ზონირების ზოგადი სტრუქტურა, თავად განაშენიანების მართვის რეგლამენტი თან ერთვის განაშენიანების გეგმის დოკუმენტაციას. სტრატეგიული დოკუმენტით გგ-ის არეალზე გათვალისწინებულია:

#### **ფუნქციური ზონები:**

- საცხოვრებელი ზონა (სზ);
- შერეული ზონა (შზ);
- ინდუსტრიული ზონა (იზ);
- სპეციალური ზონა (სპზ).

#### **სამშენებლო ფუნქციური ქვეზონები:**

- დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-2) - საცხოვრებელი ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები.
- საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-3) - დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა.
- მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-4) - დომინირებს საცხოვრებელი სახლები. აგრეთვე, დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა.
- ცენტრის ზონა (შზ-2) - დომინირებს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები.
- საკურორტო-სარეკრეაციო ზონა (შზ-4) - ემსახურება დასასვენებელი ან/და სამკურნალო დანიშნულების შენობა-ნაგებობების ფუნქციონირებას.
- კომერციული ზონა (შზ-5) - დომინირებს კომერციული ობიექტები.
- საწარმოო ზონა (იზ-1) - დომინირებს საწარმოო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები.
- კლასტერების ზონა (სპზ-1) - წარმოადგენს სპეციალური ფუნქციების ერთ ქვეზონაში თავმოყრას კლასტერების სახით.

#### **არასამშენებლო ტერიტორიები:**

- გამწვანებული ტერიტორია;
- სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია;
- სატყეო ტერიტორიები;
- ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორიები;

#### **გგ-ის არეალზე გათვალისწინებულია სოციალური, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორიები, შესაბამისი ქვეკატეგორიებით.**

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, გგ-ის არეალის ცალკეულ მონაკვეთებზე არ არის დაზუსტებული ფუნქციური ზონა/ქვეზონა, მათი განვითარების პირობები და პარამეტრები. ასეთი ტერიტორიები უმეტესად გდგ არეალებში ექცევა, სადაც ცალკე პირობებია განსაზღვრული.

სგშ-ის ანგარიშის მიხედვით, საზოგადოებრივი სივრცეების რეორგანიზების, ახალი უბნების განვითარების და მათი რესურსის ოპტიმალური გამოყენებისთვის, განისაზღვრა გდგ არეალები (სულ 29 ერთეული), რომელთა ჯამური ფართობი აღემატება არსებულ განაშენიანებას.

სგშ-ის ანგარიშში ასახულია ინფორმაცია გეგმარებით არეალში არსებული გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ. გეგმარებით არეალში რელიეფის პირვანდელი ბუნებრივი იერსახე და მის გარშემო მდებარე ტერიტორია მთლიანად შეცვლილია ანთროპოგენური რელიეფის ფორმებით.

დოკუმენტის თანახმად, გეგმარებითი არეალის ფარგლებში აღსანიშნავია სოფ. ალგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით უსახელო ხევის მარჯვენა ნაპირზე, სტაბილიზაციის ფაზაში მყოფი ცოცვითი ტიპის მეწყრული სხეული (GPS: X-449150; Y-4614775), რომლის სტაბილიზაციის შენარჩუნებისთვის საჭიროა ზედაპირული წყლების რეგულირება და ბიოსაინჟინრო ღონისძიებების გატარება.

გდგ-ის არეალის ფარგლებში, კლდოვანი ფერდობებიდან ზვავსაშიშროების რისკი მოსალოდნელია (შ-31) თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის გასწვრივ, ცალკეულ მონაკვეთზე.

სგშ-ის ანგარიშში აღწერილია მდინარე ალგეთის და მისი შენაკადების (4 უსახელო ხევი) მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათება და განსაზღვრულია მათი დატბორვის არეალები, შეფასდა წყალდიდობის საფრთხე და შემუშავდა შესაბამისი რუკა.

სგშ-ის ანგარიშის მიხედვით, გეგმარებითი ერთეულის ნახევარზე მეტი ფართობი სახელმწიფო ტყის ფონდის და ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიებს უკავია. გეგმარებითი ტერიტორიის საზღვრები კვეთს ზურმუხტის ქსელის საიტის - „ალგეთი“ (საიტის კოდი: GE0000013) საზღვრებს. საკვლევი არეალი ასევე ნაწილობრივ კვეთს ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის ნაწილს, დასახელებით - „ალგეთი GE010“.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით (302 ჰა) წარმოადგენს სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის მანგლისის სატყეოს. ამასთან, გეგმარებითი არეალის (4134.3 ჰა) ფართობიდან (1774 ჰა) ფართობი მოქცეულია ზურმუხტის ქსელის საზღვრებში.

დოკუმენტის თანახმად წარმოდგენილია საკვლევი არეალის წყლის, ნიადაგის და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხის კვლევის შედეგები. წყლის ნიმუშების თანახმად, წყალი დაბინძურებულია საერთო კოლიმორფული ბაქტერიებითა და E. coli-ის ბაქტერიებით, რაც დაკავშირებულია დასახლებული პუნქტის გაუმართავ საკანალიზაციო სისტემასთან. E. coli-ის ბაქტერიის მცირე რაოდენობითაა დაბინძურებული ნიადაგიც.

დოკუმენტის მიხედვით, გეგმარებით ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვალსაზრისით არ გვხვდება სტაციონალური გაფრქვევის წყაროები. არასტაციონალურ წყაროს წარმოადგენს სატრანსპორტო ნაკადები/ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული ემისიები. აქ არსებული საავტომობილო გზები არ ხასიათდება ავტოტრანსპორტის მაღალი ინტენსივობის ნაკადებით, შესაბამისად, აღნიშნული იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ დაბის ატმოსფერული ჰაერი დაბინძურებული არაა.

დოკუმენტის თანახმად, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებას, დაგვა-დასუფთავებასა და ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური. მუნიციპალიტეტში მოქმედებს კონტეინერული და ზარის სისტემა.

მანგლისი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, გეგმარებით არეალში შედის 15 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და ობიექტი, რომელთა შორისაც უმნიშვნელოვანესია ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი - მანგლისის სიონის კომპლექსი.

დოკუმენტის თანახმად, წარმოდგენილია გეგმარებითი არეალის სანიტარიული დაცვის ზონების დადგენისა და დასაბუთების შესახებ ინფორმაცია. სანიტარიული დაცვის ზონების დადგენის მიზანია ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნება და მათი დაბინძურების, გამოლევისა და გამოფიტვისაგან დაცვა. სანიტარიული დაცვის ზონების დადგენისას დაისახა სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, რომელთა გატარების შემდეგ თავიდან იქნება აცილებული ტერიტორიის დაბინძურება, აგრეთვე შესაძლებელი იქნება მისი ნორმალური ფუნქციონირება. სანიტარიული დაცვის ზონებში დადგინდა საქმიანობის სათანადო რეჟიმი.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, მდინარისპირა ტერიტორიების ათვისებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს განაშენიანების გეგმით დადგენილ შეზღუდვის ზონებზე. მდინარის წყალდაცვითი ზონისა და დატბორვის ზონებში, შესაბამისი პირობების დადგენის შემთხვევაში, დასაშვებია მხოლოდ დროებითი ნაგებობების (არასაცხოვრებელი) განთავსება, ხოლო კაპიტალური მშენებლობისთვის აუცილებელია დამატებითი ჰიდროლოგიური კვლევების საფუძველზე იმ ღონისძიებების დაგეგმვა/გატარება, რომლებიც რისკებს მინიმუმამდე შეამცირებს.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის მიზანი, დაბის სწორი ქალაქგეგმარებითი მიდგომებით განვითარებაა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს არსებული ბუნებრივი და სოციალური გარემოს

პირობების გაუმჯობესებას. ამასთან, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებთან. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეს ზემოქმედებები არ იქნება მუდმივი ხასიათის და ძირითადად კონკრეტული პროექტების განხორციელების პერიოდშია მოსალოდნელი.

სგმ-ის ანგარიშის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგზე და წყალზე უარყოფითი ზემოქმედებები. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად, დაბას ექნება გამართული საინჟინრო ინფრასტრუქტურა. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება ატმოსფერულ ჰაერზე, წყლის და ნიადაგის გარემოზე დადებით ზეგავლენას იქონიებს. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, კანალიზაციის სისტემისათვის უნდა მოხდეს გამწმენდი ნაგებობების მოწყობა და ქვების განთავსება როგორც ძველ, ასევე სამომავლოდ ასათვისებელ უბნებში. ასევე სტრატეგიული დოკუმენტით შემუშავებული სანიტარიული დაცვის ზონები, უარყოფითი ზემოქმედების რისკებს კიდევ უფრო შეამცირებს.

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებამ შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს არსებული ლანდშაფტების მდგომარეობაზე, რაც დაკავშირებული იქნება სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებთან. სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, გეგმარებითი ტერიტორიის უმეტეს ნაწილში არ არის დაგეგმილი სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსება, რაც ლანდშაფტებზე და სატყეო ტერიტორიებზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებს მინიმუმამდე ამცირებს.

სგმ-ის ანგარიშის თანახმად, საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოწყობა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფით ზემოქმედებასთან, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვან დადებით ეფექტს იქონიებს დაცულ ტერიტორიებსა და ბიომრავალფეროვნებაზე, რადგან შემცირდება ანთროპოგენური ფაქტორებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი. ასევე, ანგარიშის თანახმად, ნებისმიერი საქმიანობა, რაც შესაძლოა პირდაპირ დაკავშირებული იყოს ალგეთის ეროვნულ პარკთან, უნდა შეთანხმდეს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან.

სგმ-ის ანგარიშში ასახულია ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციისა და თავიდან აცილების რეკომენდაციები/შემარბილებელი ღონისძიებები, ასევე მონიტორინგს დაქვემდებარებული საკითხების შესახებ.

დამგეგმავი ორგანოს (სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო) ორგანიზებით, სგმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 23 მაისს, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციულ შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს, შპს “ურბანიკას”, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან სგმ-ის ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. ამასთან, საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისის განაშენიანების გეგმის პროექტი, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გაეგზავნა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს კულტურის სამინისტროს და სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას.

**წარმოდგენილი დოკუმენტაცია განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 27-ე მუხლის საფუძველზე,**

**ვბრძანებ:**

1. გაიცეს რეკომენდაცია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისის განაშენიანების გეგმის პროექტსა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშზე.
2. სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:
  - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და სტანდარტები, მათ შორის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I ან/და II დანართით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების შემთხვევაში დაცული იქნეს კოდექსის მოთხოვნები. ასევე, „ტყის კოდექსის“, „წყლის შესახებ“ და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნები;
  - საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს დოკუმენტში წარმოდგენილი, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისათვის საჭირო ღონისძიებების შესრულებაზე;
  - გეგმარებით არეალში შემოდის თრიალეთის მადნიანი ველი, რომელზეც არ უნდა შეიზღუდოს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა;
  - ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს “ნარჩენების მართვის კოდექსისა” და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
  - ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში მიზანშეწონილია, სტრატეგიული დოკუმენტის რევიზიის დროს მოხდეს ზემოქმედების მოდელირება, ვიზიტორთა გაათმაგებული რაოდენობის შემთხვევისთვის. ასევე, ტურისტული ზონების გამტარუნარიანობის ზღვრის განსაზღვრა და რეგულირების მექანიზმების შემუშავება;
  - სგშ-ის ანგარიშში და სტრატეგიულ დოკუმენტში, გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკა შემუშავებული უნდა იქნეს ცალკე რუკის სახით და არა შეზღუდვის ზონებთან ან/და დაცვის არეალებთან კომბინაციაში;
  - გეოლოგიური საფრთხის შემცველი არეალები უნდა მოიცავდეს მთლიან საკვლევ ტერიტორიას, წარმოდგენილი რუკის მიხედვით კი მანგლისის დასახლებული ნაწილი გეოლოგიური საფრთხის არცერთ კატეგორიაში არ ხვდება;
  - სტრატეგიული დოკუმენტის №24 გდგ არეალი ხვდება მეწყერის კონტურში, შესაბამისად, აღნიშნული გარემოება გათვალისწინებული უნდა იქნას განაშენიანების დეტალური გეგმის (გდგ) პროექტში;
  - ყურადღება უნდა გამახვილდეს განაშენიანების გეგმით დადგენილ შეზღუდვის ზონებზე. კერძოდ, ძირითადი მდინარის, შენაკადებისა და მშრალი ხეობისთვის უნდა იდენტიფიცირდეს წყალდაცვითი ზოლები და შემუშავდეს მათზე ზემოქმედების აღმკვეთი/შემარბილებელი მექანიზმები, მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად;
  - გეგმარებით არეალში არსებული დატბორვის არეალები, განაშენიანების დეტალური გეგმის (გდგ) პროექტებში, უნდა გახდეს მსხვილმასშტაბიანი კვლევის საგანი. ასევე უნდა ჩატარდეს მდინარის კალაპოტის სტაბილურობის დიაგნოსტიკა კრიტიკულ კვთებში, პერიოდული მონიტორინგის განხორციელების საფუძველზე და საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმოს პრევენციული ღონისძიებები;
  - სტრატეგიული დოკუმენტის მონიტორინგის ჩატარება და შედეგები, თანხვედრაში უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის რევიზიასთან. რევიზიის დროს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების სრული ანალიზისთვის, სასურველია სგშ-ის ანგარიშში აისახოს გარემოს არსებული მდგომარეობა და მონიტორინგს დაექვემდებაროს შესაბამისი ინდიკატორები. აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა შეირჩეს მონიტორინგზე პასუხისმგებელი შესაბამისი ორგანო.
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. 5 დღის ვადაში ბრძანება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფასა და ოფიციალურ ვებგვერდზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/399-21-4-202507311521>

